სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 მარტი, 2025 წ.

ბრძანება N01-02/ 57

„ბსუ-ს ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 07 სექტემბრის N01-02/154 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ (ბსუ-ს რექტორის N01-02/75, 05.06.2024წ. ბრძანება), „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება), პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 24 ივნისის N8/0566-2024 ბრძანების, **პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2024 წლის 30 სექტემბრის N8-1/253/2024 გადაწყვეტილების,** პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2025 წლის 29 იანვრის N75741 წერილის, ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამსახურებრივი ბარათის (26/02/2025წ. MES 2 25 0000206994), ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში გაგზავნილი ბსუ-ს წერილის (26/02/2025, MES6250000208707), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 05 მარტის N240341 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში გაგზავნილი ბსუ-ს წერილის (MES 4 25 0000255640, 07/03/2025წ), ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წერილის (PDPS 42500003797, 18/03/2025წ) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს ელექტრონული **სერვისების ადმინისტრირების წესის** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 07 სექტემბრის N01-02/154 ბრძანებაში **შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, ბრძანების N1 დანართის (წესის):**

ა) **8^1 მუხლის** („მუხლი 8^1. პორტალზე პერიოდული კვლევების ჩატარება (გამოკითხვები), მონაცემთა დამუშავება და ხელმისაწვდომობა“):

ა.1) **8^1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„8^1.1. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრული კვლევების (გამოკითხვების) ჩატარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში (საჭიროების შემთხვევაში, სემესტრის განმავლობაშიც) განისაზღვრება მიმდინარე სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი კვლევები, მზადდება შესაბამისი კითხვარები და გამოკითხვის შესახებ ინფორმაცია/განმარტება **(მიეთითება:** კითხვარის დასახელება; გამოკითხვის /კვლევის მიზანი; გამოსაკითხი პირი - მონაცემთა სუბიექტი; გამოკითხვის პერიოდი; გამოკითხვის ფორმატი (პროცედურა);

კვლევაში მონაწილეობის მნიშვნელობა; კვლევაში მონაწილე (გამოსაკითხი) პირის უფლებები; გამოკითხვის/გამოკითხულის **კონფიდენციალურობა;** გამოკითხვის (კვლევის) ფარგლებში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირთა წრე/წვდომის არეალი და სხვა საჭირო ინფორმაცია, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით). ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, შესაბამისი კითხვარი ბსუ-ს პორტალის გამოკითხვის მოდულში განთავსდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად (ხელმისაწვდომი იქნება პორტალის „გამოკითხვის მოდულის" მეშვეობით).";

ა.2) **8^1.6.-8^1.9. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციებით:**

8^1.6. ამ მუხლით <u>გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს</u> **წვდომა აქვთ** ბსუ-ს პორტალის „გამოკითხვის" მოდულის შემდეგ მონაცემებზე:
ა) პერსონალის გამოკითხვის შემთხვევაში: 1. გამოკითხვაში მონაწილეთა რაოდენობა; 2. გამოკითხულ პირთა <u>ზოგადი მონაცემები:</u> ბსუ-ს ფაკულტეტი/ინსტიტუტი; ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი/ინსტიტუტის განყოფილება; 3. გამოკითხულ პირთა კომენტარები (ავტორების გარეშე), ამ მუხლის 8^1.4. პუნქტის შესაბამისად;
ბ) კურსდამთავრებულის გამოკითხვის შემთხვევაში: 1. გამოკითხვაში მონაწილეთა რაოდენობა; 2. გამოკითხულ პირთა ზოგადი მონაცემები: ბსუ-ს ფაკულტეტი; სწავლების საფეხური; ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამა; 3. გამოკითხულ პირთა კომენტარები (ავტორების გარეშე), ამ მუხლის 8^1.4. პუნქტის შესაბამისად;
გ) სტუდენტის გამოკითხვის შემთხვევაში <u>(ე.წ. „ზოგადი გამოკითხვა"</u> - სასწავლო პროცესის ორგანიზების/საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ): 1. გამოკითხვაში მონაწილეთა რაოდენობა; 2. გამოკითხულ პირთა ზოგადი მონაცემები: ბსუ-ს ფაკულტეტი; სწავლების საფეხური; ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამა; 3. გამოკითხულ პირთა კომენტარები (ავტორების გარეშე), ამ მუხლის 8^1.4. პუნქტის შესაბამისად;
დ) სტუდენტის გამოკითხვის შემთხვევაში <u>(ე.წ. „საგნობრივი კითხვარი"-</u> სასწავლო კურსის შეფასება): 1. გამოკითხვაში მონაწილეთა რაოდენობა; 2. გამოკითხულ პირთა ზოგადი მონაცემები: ბსუ-ს ფაკულტეტი; სწავლების საფეხური; ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამა; სწავლების სემესტრი; სასწავლო კურსის/კომპონენტის განმახორციელებელი პირი; 3. გამოკითხულ პირთა კომენტარები (ავტორების გარეშე), ამ მუხლის 8^1.4. პუნქტის შესაბამისად.

8^1.7. ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს, მათი ფუნქცია-მოვალეობების და სამსახურებრივი პასუხიმგებლობის ფარგლებში, ბსუ-ს პორტალის „გამოკითხვის" მოდულის მონაცემებზე წვდომის განსხვავებული არეალი აქვთ, მათ შორის:
ა) საუნივერსიტეტო მონაცემებზე წვდომა აქვს - ბსუ-ს რექტორს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსს (ბსუ-ს პორტალის მთავარი ადმინისტრატორი);

ბ) საფაკულტეტო მონაცემებზე წვდომა აქვს - ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსს;
გ) სასწავლო კურსის/სასწავლო კომპონენტის მონაცემებზე (დასახელება, სახე: ლექცია/ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკა/კურაცია/ნაშრომი ან სხვა) წვდომა აქვს - ამ კურსის/კომპონენტის განმახორციელებელს (აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი);
დ) შესაბამისი გამოკითხვის ფარგლებში არსებულ მონაცემებზე წვდომა აქვს (სტატისტიკური ინფორმაცია და სხვათა კომენტარები, ამ მუხლის 8^1.4. პუნქტის შესაბამისად) - გამოკითხვაში მონაწილე პირს (სტუდენტი/დასაქმებული/ კურსდამთავრებული);
ე) ,,გამოკითხვის მოდულის" მონაცემებზე წვდომა აქვს, როგორც ინტერფეისის, ასევე მონაცემთა ბაზის მეშვეობით - ბსუ-ს პორტალის პროგრამულ უზრუნველყოფაზე უფლებამოსილ პირს.
8^1.8. ამ მუხლით გათვალისწინებული გამოკითხვის (კვლევის) ფარგლებში გამოსაკითხი პირის პერსონალური მონაცემები **კონფიდენციალურია.** კითხვარის შევსების გზით მოწოდებული ინფორმაცია (პასუხები/კომენტარები) გამოიყენება მხოლოდ კვლევის მიზნებისა და სტატისტიკური ანალიზისათვის. კითხვარის შევსების შედეგად მიღებული ინფორმაციის/მონაცემების დამუშავება და პერსონალური მონაცემების დაცვა ხორციელდება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის, ბსუ-ში ელექტრონული სერვისების მართვის ადმინისტრირების წინამდებარე წესის და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული **,,სასწავლო პროცესთან დაკავშირებით კითხვარის (კვლევის) ბსუ-ს პორტალის გამოკითხვის მოდულში განთავსების წესის"** საფუძველზე.
8^1.9. ბსუ-ს ეთიკის კოდექსის, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევის თაობაზე მონაცემთა სუბიექტის (გამოკითხულის კომენტარის ადრესატი) ან წინამდებარე მუხლში აღნიშნული უფლებამოსილი პირის (ამ მუხლის 8^1.7. პუნქტში მითითებული პირებიდან: 1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი; 2. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი; 3. შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; 4. შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი - გამოკითხვის ადრესატი (მხოლოდ ე.წ. ,,საგნობრივი გამოკითხვის" შემთხვევაში)) განცხადების საფუძველზე რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია (ბსუ-ს რექტორის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლის შემადგენლობით), რომელიც ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან კოორდინაციით (კონსულტაციით) ადგენს დასკვნას კონფიდენციალურ გამოკითხვაში მონაწილე პირის იდენტიფიცირების მიზანშეწონილობის თაობაზე. აღნიშნული დასკვნა წარედგინება ბსუ-ს რექტორს, რომელიც უფლებამოსილია გამოსცეს ბრძანება გამოკითხვაში მონაწილე პირის იდენტიფიცირების თაობაზე, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ში ეთიკის ნორმების, სტუდენტის/დასაქმებულის კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით (ასეთ შემთხვევაში რექტორის ბრძანება აღსრულებისათვის (შესასრულებლად) გადაეცემა ბსუ-ს პორტალის (,,გამოკითხვის" მოდულის) პროგრამულ უზრუნველყოფაზე უფლებამოსილ პირს).".

ბ) მე-10 მუხლის (მუხლი 10. პორტალის მონაცემთა უსაფრთხოება) **10.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„10.2. სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დასაქმებულის და დამსაქმებლის ბსუ-ს პორტალზე ავტორიზაცია ხდება ორმაგი ვერიფიკაციის სისტემით (ავტორიზაციის გავლისას, ავტორიზაციის დადასტურების მიზნით, მომხმარებელი იღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას მობილურ ტელეფონზე ან/და ელექტრონულ ფოსტაზე).

2. წინამდებარე ბრძანებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდეს **კოდიფიცირებული** „ბსუ-ს ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესი“ **და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე** (ველებში: „სტუდენტთა გზამკვლევი“ და „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“) **და ბსუ-ს პორტალზე.**
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს (დეკანებს, დეკანის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს, დეკანების ოფისებს, დარგობრივ დეპარტამენტებს და პერსონალს), სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და სხვა ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
   ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**